ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 42

14 მარტი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. აკაკი მხეიძე
2. ირინა ჩხიკვიშვილი-ესტონეთის დიასპორის თავმჯდომარის მოადგილე
3. გრეტა ნიჟარაძე

4. ვასილ ბრეგაძე
5. გიორგი ცაბაძე-სასულიერო პირი
6. ზურაბ ღლონტი
7. დავით ვანიშვილი
8. ზურაბ ვანიშვილი
9. ნინო მიქიაშვილი
10. ნანა მჭედლიშვილი
11. ნატო მურადაშვილი
12. ნელი წულაია
13. გურანდა წულაია
14. ლიკა ჭელიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევისთვის რეჟისორის თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**
2. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.**
3. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწეების ივანე და ნინო პოლტორაცკების სახელის მინიჭების შესახებ;**
4. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას სახელის მინიჭების შესახებ;**
5. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევისთვის ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;**

6. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #393 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ
7. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩისთვის ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოლაბაურის II ხევისთვის და დოლაბაურის III ხევისთვის მომღერლის ვანო მჭედლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთისთვის, დიდგორის ქუჩისთვის და ხიდის ქუჩისთვის თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელის მინიჭების შესახებ;

12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის II შესახვევისთვის და შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბაკურ ბექაურის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გეგუთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის გეგუთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
14. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;
15. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნასაგურში, იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოსებ ასლანიშვილის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
17. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჯემალ გოგიტიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

18. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ დიდებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სულხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ;**
19. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვასილ კოპცოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და ნავთლუღის VI შესახვევის მონაკვეთისთვის ვასილ კოპცოვის I და II ჩიხების სახელების მონიჭების შესახებ;**
20. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ტბელ აბუსერიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ტბელ აბუსერიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევისთვის რეჟისორის თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის წერილი, რომლითაც თეატრალური საზოგადოება მოგვმართავს თხოვნით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის თემურ ჩხეიძის სახელი.

იგივე მოთხოვნით კომისიაში შემოსულია ისნის რაიონის გამგებლის მ/შ გიორგი რჩეულიშვილის წერილი, საბურთალოს რაიონის გამგებლის გაიოზ ვასაძის წერილი, დიდუბის რაიონის გამგებლის ვლადიმერ ძნელაძის წერილი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი.

თემურ ჩხეიძე ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი ერთ-ერთი იყო, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში. 1970-1980 წლებში თემურ ჩხეიძე იყო რუსთაველის თეატრის რეჟისორი, ხოლო 1980-1990 წლებში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მას დადგმული აქვს სამოცდაათზე მეტი სპექტაკლი. მინიჭებული აქვს შემდეგი წოდებები და პრემიები: კოტე მარჯანიშვილის და შოთა რუსთაველის პრემია, მიხეილ თუმანიშვილის პრემია, ორგზის საქართველოს თეატრალური პრემია „ოქროს ნიღაბი", ასევე პრემია „ქართული

კომისიამ შეისწავლა მთაწმინდის რაიონში, ე.წ. ფიქრის გორის ტერიტორიაზე არსებული ქუჩათა ქსელი. პეტრე მელიქიშვილის გამზირის მიმდებარედ სახელდებულია გიორგი ქუჩიშვილის ქუჩა და შესახვევი, გიორგი ქუჩიშვილი იყო თემურ ჩხეიძის ბაბუა. შესახვევი გიორგი ქუჩიშვილის ქუჩას აკავშირებს პეტრე მელიქიშვილის გამზირთან. აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის პარამეტრები ემთხვევა მის პარალელურად არსებულ როდენის ქუჩას. ამდენად კომისია შესაძლებლად მიიჩნევს გიორგი ქუჩიშვილის შესახვევის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევს მიენიჭოს რეჟისორის თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს მეორე საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია მოქალაქე აკაკი მხეიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი.

საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე ომარ მხეიძე სამი ათეული წელი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სუხიშვილების" წამყვანი სოლისტი იყო. არაერთი ჯილდოს მფლობელ მოცეკვავეს 2016 წლის 8 ივნისს ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფონდმა „ქართული გალობა" მიანიჭა „ღვაწლმოსილი მოცეკვავის" წოდება. ომარ მხეიძეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა საუკუნის მოცეკვავის წოდება მიანიჭა. 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან გაიხსნა მისის სახელობის ვარსკვლავი. დაჯილდოვებული იყო ღირსების ორდენით.

გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში კონსულტაციები გაიმართა მოცეკვავის ოჯახის წევრებთან, რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან სახელდებისთვის შერჩეული იქნა ახლადწარმოქმნილი ქუჩა მთაწმინდის რაიონში, პარკსა და ფრიდონ ხალვაშის ქუჩების მიმდებარედ.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა ომარ მხეიძის შვილი აკაკი მხეიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მამის განვლილი ცხოვრების დაფასებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეორე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის I შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწეების ივანე და ნინო პოლტორაცკების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია ესტონეთის დიასპორის თავჯდომარის მოადგილის, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრის ირინა ჩხიკვიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს ოქროყანაში ქუჩას მიენიჭოს ივანე და ნინო პოლტორაცკების სახელი.

კომისიამ შეისწავლა ივანე და ნინო პოლტორაცკების ბიოგრაფია. როგორც საქმისწარმოების პროცესში დადგინდა, ექვთიმე თაყაიშვილისა და პოლტორაცკების მოღვაწეობა არსებითადაა დაკავშირებული აღნიშნულ ტერიტორიასთან. განცხადების დანართში წარმოდგენილ მასალებში ნათლადაა წარმოდგენილი აღნიშნული კავშირები. პოლონური წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწემ ივანე პოლტორაცკიმ მიიღო ქართული განათლება, დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. მსახურობდა თბილისში მომრიგებელ მოსამართლედ. ახლოს იყო ილია ჭავჭავაძესთან, მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და გაზეთ „საქართველოს მოამბის" დაარსებაში. ილიამ მას მიუძღვნა პოემა „აჩრდილი". ივანე პოლტორაცკის მეუღლემ, ნადეჟდა გაბაშვილმა ოქროყანის მიწები მზითევის სახით მიიღო. ოქროყანის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი ივანე პოლტორაცკის მოღვაწეობის კვალი. ივანე პოლტორაცკის უფროსი ქალიშვილი ნინო იყო ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე. მან მუსიკალური განათლება პარიზში მიიღო. განუზომელია ნინო პოლტორაცკის ღვაწლი ექვთიმეს მხარდაჭერაში, ეროვნული განძის მოძიების საქმეში.

ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა ლევილში და იქვე იყო დაკრძალული, თუმცა 1987 წელს მისი ნეშტი გადმოასვენეს

თბილისში და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში, 2000 წელს კი-ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით, მთაწმინდის პანთეონში.

ციურიხის ქუჩის შესახვევი უშუალოდ ესაზღვრება ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩას, შესახვევთანაა ოქროყანის ძველი სასაფლაოს ტერიტორია, სადაც დღემდეა შემორჩენილი პოლტორაცკების პერიოდის ეკლესია. შესახვევის პარამეტრები იძლევა მისი ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისში არსებობდეს საზოგადო მოღვაწეების ივანე და ნინო პოლტორაცკების სახელობის ქუჩა.

აზრი გამოთქვა: სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულმა პირმა ირინა ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის. მან ისაუბრა ივანე და ნინო პოლტორაცკების ღვაწლზე და ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოქროყანისთვის აღნიშნული სახელედება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის I შესახვევს, რომელიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად მიენიჭოს საზოგადო მოღვაწეების ივანე და ნინო პოლტორაცკების ქუჩის სახელი

4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქ. ირაკლი ფიფიას განცხადება, რომლითაც ითხოვს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას ძეგლი, რომელიც 1983 წელს დაიდგა თევდორე მღვდლის ქუჩაზე მოინახოს ალტერნატიული სივრცე, სადაც მოხდება ძეგლის გადატანა.

ძეგლის გადატანის თხოვნით საკრებულოსთვის წერილობითი მომართვის პარალელურად კომისიის თავმჯდომარის მიერ შეხვედრა გაიმართა მოქ. ირაკლი ფიფიასთან. შეხვედრაზე განხილული იქნა დედაქალაქის მასშტაბით ძეგლის გადასატანად შესაბამისი სივრცის შერჩევის საკითხი. კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ეგნატე ფიფიას ღვაწლი მედიცინის განვითარების საქმეში, მიზანშეწონილია ბიუსტის გადასატანად სკვერს მიენიჭოს ეგნატე ფიფიას სახელი. აღნიშნული მიზნის და ქირურგის ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით კომისია მხარს უჭერს სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე არსებული უსახელო სკვერისთვის ეგნატე ფიფიას სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი.

მომხრე - სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას სახელის მინიჭების შესახებ;

5. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევისთვის ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო მეხუთე საკითხი. კომისიაში შემოსულია ზურაბ ვანიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი კახეთის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. დაკრძალულია იკორთის ტაძარში.

სახელდებისთვის კომისიამ შეარჩია ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთი და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევი. ხსენებული ტერიტორიის რეაბილიტაცია გასულ წელს განხორციელდა. რეაბილიტაციის შემდგომ დადგინდა, რომ გზათა ქსელმა განიცადა გარკვეული ცვლილებები, ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევი ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ძირითად სატრანსპორტო კვანძად. აღნიშნული ტერიტორიის ხელახალი სახელდების თხოვნით კომისიას ზეპირსიტყვიერად მიმართა საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა კახაბერ ლაბუჩიძემ.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწებოდა განმცხადებელი ზურაბ ვანიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ამ ინიციატივის განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეხუთე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთს და ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევს მიენიჭოს ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის სახელი.

6. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #393 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ**

7. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

მთაწმინდის რაიონში სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევსა და გასასვლელს თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელი 2024 წლის 12 ივლისს მიენიჭა. სახელდების შემდგომ კომისიას წარედგინა ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნა, ქუჩისთვის სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელის შენარჩუნების მოთხოვნით. კომისიამ საკითხის შესწავლის შემდგომ დაადგინა, რომ შესახვევისა და გასასვლელითვის, თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების პროცესის მიმდინარეობისას მოქალაქეებს არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია ცვლილებასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა გეოგრაფიული ობიექტი მასშტაბის, გავრცელების არეალის და გზათა ქსელთან გეგმარებითი კავშირების გათვალისწინებით წარმოადგენს არა ქუჩას, არამედ შესახვევს. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები ითხოვდნენ ქუჩისთვის ძველი სახელის დაბრუნებას, კომისიამ მათ განუმარტა, რომ შესახვევი, გასასვლელი და ჩიხი დამოუკიდებლად უნდა იყოს დაკავშირებული ძირითად ქუჩასთან, ვინაიდან ზალდასტანიშვილის შესახვევი და გასასვლელი 2024 წლის 12 ივლისის #393 განკარგულების გამოცემამდე მდებარეობდა ერთმანეთის გაგრძელებაზე და სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩასთან დაკავშირებული არ იყვნენ დამოუკიდებლად. მიზანშეწონილია #393 განკარგულების დანართში ჩამოყალიბებული პარამეტრების

შენარჩუნება და მისთვის სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის სახელის მინიჭება.

ხსენებული გარემოების შესახებ კონსულტაციები გაიმართა განმცხადებელთა წარმომადგენელთან, მაია დანელიასთან და განემარტა აღნიშნული.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს მხარდასაჭერად საკითხი წარუდგინა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით: მთაწმინდის რაიონში, თამაზ სეფერთელაძის ქუჩას მიენიჭოს სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის სახელი და ამ ფორმულირებით გავიდეს საკრებულოს სხდომაზე.

თამაზ სეფერთელაძის ღვაწლის გათვალისწინებით ლევან აბაშიძემ მხარდასაჭერად კომისიის წევრებს გააცნო პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის მომღერალ თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების საკითხი. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით სკვერი მდებარეობს მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიასთან. სახელდების თაობაზე კონსულტაციები ასევე გაიმართა საქართველოს საპატრიარქოსთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხები.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, თამაზ სეფერთელაძის ქუჩას მიენიჭოს სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის სახელი.

პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩისთვის ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაცით, კომისიაში შემოსულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ლიანა მელიქიშვილის განცხადება, რომლითაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მეცნიერის გიორგი ბოჭორიძის სახელი. გიორგი ბოჭორიძის ღვაწლი დიდია საქართველოს წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, ფოლკლორისტიკის ენათმეცნიერებისა და ისტორიის განვითარებაში. მან მთელი საქართველოდან ისტორიული ნივთებისა და საარქივო მასალის მდიდარ კოლექციას მოუყარა თავი და თბილისის და ქუთაისის საცავებს გადასცა მრავალი ხელნაწერი. გიორგი ბოჭორიძის მიერ აღწერილია 900-მდე ისტორიული ძეგლი, მოგროვილია 200-ზე მეტი ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი და 200-ზე მეტი დასტამბული წიგნი, 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვის სტელები, 3550 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი. მას გამოქვეყნებული აქვს არქეოგრაფიული ნაშრომები. გიორგი ბოჭორიძე იყო საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი. იგი დააპატიმრეს 1937 წელს და 1939 წელს დაიღუპა გადასახლებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს გიორგი ბოჭორიძის სახელობის ქუჩა ისნის რაიონში, ხსენებულ დასახლებას არავითარი კავშირი არ აქვს ნავთლუღის ისტორიულ ტერიტორიასთან, დასახლების ქუჩები ატარებდა რომაულ ციფრებს, რომელთა ცვლილებაც განხორციელდა ეტაპობრივად.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესული პირი ნინო მიქიაშვილი.მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის, ისაუბრა გიორგი ბოჭორიძის ღვაწლზე ერის წინაშე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მერვე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩას მიენიჭოს ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოლაბაურის II ხევისთვის და დოლაბაურის III ხევისთვის მომღერლის ვანო მჭედლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია მოქ. ნანა მჭედლიშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს მომღერლის ვანო მჭედლიშვილის სახელი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში, საქმისათვის არსებითი გარემოებების სრულყოფილად გამოვლენისა და შეფასების მიზნით მოვითხოვეთ განცხადებაზე დამატებითი მასალის სახით ყველა იმ დოკუმენტისა თუ წერილობითი წყაროს ასლი, რომელიც კომისიას დაეხმარებოდა ვანო მჭედლიშვილის ღვაწლის სრულფასოვნად შეფასებაში. რის შედეგადაც მივიღეთ ს.ს.ი.პ. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან წერილი რომლითაც ირკვევა, რომ „ჩაკრულო"-ს, „ხასანბეგურა"-ს თუ სხვა გენიალური სიმღერების ვარიანტების დიდოსტატთა სახელები და მათი ღვაწლი ცნობილია. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი ლოტბარი და მომღერალი ვანო მჭედლიშვილი იყო, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო განსაკუთრებით ქართლ-კახური სიმღერების მოძიებას, შეკრებას, აღდგენასა და გაცოცხლებას. მის მიერ დამუშავებულ ვარიანტებს დღემდე ასრულებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი", რომლის სოლისტი და ლოტბარი გარკვეულ წლებში თავადაც იყო.

ვანო მჭედლიშვილმა მომღერალთა თაობები აღზარდა. მის ნამოწაფართა შორის არიან ცნობილი მომღერლები შალვა კოვზირიძე, ავთანდილ სარაჯიშვილი და გენიალური ჰამლეტ გონაშვილი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა ოჯახის წევრი ნანა მჭედლიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ვანო მჭედლიშვილის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, დოლაბაურის II ხევს და დოლაბაურის III ხევს მიენიჭოს მომღერლის ვანო მჭედლიშვილის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქ. ლიკა ჭელიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს გლდანის რაიონში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელი.

აღნიშნული საკითხის სრულყოფილად დამუშავების მიზნით კომისიამ მიმართა ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახურს, რათა გვაცნობონ მათი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, გიორგი წულაია, ეროვნული გვარდიის მე-4 სპეც. დანიშნულების შემადგენლობიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში და1992 წლის 5 ოქტომბერს, ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას დაიკარგა უგზო-უკვლოდ, რის საფუძველზეც შემდგომში გამოცხადდა საომარ მოქმედებებში დაღუპულად.

სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, თავდადებისა და თავგანწირვისთვის, სიკვდილის შემდეგ გიორგი წულაია დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით“

სამშობლოს წინაშე გიორგი წულაიას დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ საკითხს.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდნენ გიორგი წულაიას ოჯახის წევრები, მისმა დამ, გურანდა წულაიამ მადლობა გადაუხადა კომისიას მისი გმირი ძმის-გიორგის დაფასებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე- სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი წულაიას სახელი.

11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთისთვის, დიდგორის ქუჩისთვის და ხიდის ქუჩისთვის თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა მეთერთმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. ლევან თუმანიშვილის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით სოფელ გლდანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

ასევე 2024 წლის 24 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქ. ქეთევან ქავთარაძის განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გლდანში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

საკითხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ წერილში მითითებული ტერიტორია ემთხვევა თბილისის შემოსავლელ საერთაშორისო მნიშვნელობის ე.წ. სატრანზიტო გზატკეცილს.

არეალის სრულად დამუშავების დროს გამოიკვეთა, რომ გზატკეცილის გარკვეულ მონაკვეთებს სხვადასხვა პერიოდში მინიჭებული აქვს დიდგორის და ხიდის ქუჩის სახელები. ვინაიდან ობიექტი წარმოადგენს საერთაშორისო გზის ერთ განუყოფელ მონაკვეთს კომისიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია მისი დანაწევრებული სახელდება. ამდენად სახელდებულ ქუჩებს უნდა შეეცვალოს სახელი და ერთიან გზატკეცილს ეწოდოს თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ე.წ. თბილისის სატრანზიტო გზის უსახელო მონაკვეთს, დიდგორის ქუჩას და ხიდის ქუჩას მიენიჭოს თბილისის შემოსავლელი გზატკეცილის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის II შესახვევისთვის და შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბაკურ ბექაურის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქ. ილია ბექაურის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისში ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბაკურ ბექაურის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბაკურ ბექაურის საბრძოლო მოკვლევა, ასევე მიმართა ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახურს, რათა გვაცნობონ მათი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით.

ბაკურ ბექაური 1992 წლის აგვისტოში პირადი სურვილით (მოხალისე) გამოცხადდა ნაძალადევის რაიონის სამხედრო კომისარიატში. 28 აგვისტოს გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა 103-ე ბატალიონში, I ასეულის II ოცეულის III ათეულის რიგით მსროლელად. 103-ე ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ერთად იგი მივლინებული იყო აფხაზეთის რეგიონში, ლესელიძე-გაგრის ოპერატიულ მიმართულებაზე და მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის თვის დასაწყისში გაგრაზე მოწინააღმდეგის შეტევის დროს რიგითი ბაკურ ბექაური იმყოფებოდა 114-ე ბატალიონ „ავაზა"-ს პირად შემადგენლობასთან ერთად. 2 ოქტომბერს საბრძოლო ვითარებაში, მისი დაღუპვის ფაქტს ადასტურებენ 114 ბატალიონის „ავაზა"-ს მეთაურთა შემადგენლობა, პოლკოვნიკი თ.წითელაშვილი და ვიცე-პოლკოვნიკი დ.ჩუბინიძე.

გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი.

სამშობლოს წინაშე ბაკურ ბექაურის დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თბილისში არსებული რომელიმე ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებას.

ბაკურ ბექაური დაიბადა და გაიზარდა ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩაზე, შალვა ცინცაძის შესახვევების პარალელურ ტერიტორიაზე. მის საცხოვრებელ უბანში ქუჩის სახელდების საკითხი მხარდაჭერილია, როგორც მებრძოლის ოჯახის წევრების, ასევე მაცხოვრებელთა მხრიდან. შალვა ცინცაძის I და II შესახვევებს გეგმარებითი კავშირი არ აქვს ძირითად ქუჩასთან და მდებარეობენ დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით. ამდენად მიზანშეწონილია მათი გაერთიანებით ერთი ქუჩის ჩამოყალიბება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -სამი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის II შესახვევს და შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბაკურ ბექაურის ქუჩის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გეგუთის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის გეგუთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ჯავის ქუჩის მე-6 შესახვევის მაცხოვრებელთა განცხადება, რომლითაც ითხოვენ ჯავის ქუჩის მე-6 შესახვევის სახელის დაზუსტებას, ხოლო დამატებითი დოკუმენტაციის

სახით შემოსულია ლევან ჯაკონიას წარმომადგენლის ნატო მურადაშვილის განცხადება, რომლითაც გვაცნობებს, რომ სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ უძრავ ქონებას ვერ მიენიჭება განსხვავებული სახელწოდება, გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ქონება ეკუთვნის გეგუთის ქუჩის ნაწილს.

კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ გეგუთის ქუჩის სახელწოდებით, ნაძალადევის რაიონში არსებობს ჩიხის კატეგორიის გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც ფაქტობრივად არ წარმოადგენს ქუჩის გაგრძელებას. გარდა ამისა, ტერიტორია ნაწილობრივაა სახელდებული და ხსენებული ქუჩის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებს მისამართად განსაზღვრული აქვთ ჯავის ქუჩის მე-6 შესახვევი, ხსენებული შესახვევიდან ტერიტორიაზე მოხვედრა შეუძლებელია. გეოგრაფიული ობიექტის განვითარების არეალის დაზუსტება და ფაქტობრივ გარემოებასთან შესაბამისი სახელდება მომავალში შესაძლებელს გახდის შესაბამისმა სამსახურებმა იმსჯელონ მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე მინიჭებული ფუნქციური ზონის სტატუსის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ნატო მურადაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ქუჩის მაცხოვრებელთა სახელით საკითხის დადებითად გადაჭრისათვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გეგუთის ქუჩის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტს მიენიჭოს გეგუთის I ჩიხის სახელი.

14. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი

შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრაციის მიზნით ითხოვს ინფორმაციის დაზუსტებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულების თანახმად დიმიტრი ჩრდილელის შესახვევის არსებობისა და მისი გავრცელების არეალის (საწყისი და დასასრული წერტილების მითითებით) თაობაზე.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილერის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულებაში მითითებულია ქუჩა და შესახვევი, ხოლო შესახვევი შესაბამისი კოორდინატებით გამოსახული არ არის აქტის დანართში, ამდენად უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს დანართი-რუკა.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, ნიკო ჭავჭავაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ჩრდილელის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის #580 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

15. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 12 ივლისს #370 განკარგულებით სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას მიენიჭა აკაკი ვასაძის სახელი, ხოლო „დ“ ქუჩა გახდა აკაკი ვასაძის I შესახვევი.

ხსენებული განკარგულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია. ნუმერაციის პროცესში დადგინდა, რომ აკაკი ვასაძის I შესახვევი მიმდებარედ განაშენიანებულ კორპუსებს ესაზღვრება არა ძირითადი, არამედ ე.წ. ეზოების გამოსასვლელის მხრიდან. სამსახურის პოზიციით მიზანშეწონილი იქნება, თუ ხსენებული კორპუსებისთვის მისამართი განისაზღვრება არა აკაკი ვასაძის I შესახვევით, არამედ კალოუბნის ქუჩიდან.

აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ ხსენებულ შესახვევს, როგორც გეოგრაფიულ ობიექტს-მისასვლელ გზას დაკარგული აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და მიზანშეწონილია მისი გაუქმება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შევიდეს ცვლილებები ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში-განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი (რუკა)

ჩამოყალიბდეს თანდართული სახით, ხოლო განკარგულების მე-2 პუნქტი გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ" ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება: და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი (რუკა) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით, ხოლო განკარგულების მე-2 პუნქტი გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

16. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნასაგურში, იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის იოსებ ასლანიშვილის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას #06-წერილი, რომლითაც მოქალაქე ირაკლი თევზაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს

დიდ ლილოში, ნასაგურში საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნასაგურში, იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან და ქალაგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხ

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ნასაგურში, იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს იოსებ ასლანიშვილის I ჩიხის სახელი.

17. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჯემალ გოგიტიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსთან, ნინო ბახიასთან სამგორის რაიონში, კალოუბნისა და მიმდებარე ქუჩების სისტემური ნუმერაციის პროცესში წარმოებული კომუნიკაციისას დადგინდა, რომ საკადასტრო ერთეულთან

გამავალ ქუჩას არ გააჩნია სახელწოდება. სამსახურის რეკომენდაციაა ხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება, რათა განხორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. აღნიშნული უსახელო მონაკვეთი ესაზღვრება ჯემალ გოგიტიძის ქუჩას და წარმოადგენს მის ქალაქგეგმარებით გაგრძელებას.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ჯემალ გოგიტიძის ქუჩა.

18. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ დიდებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სულხან-საბა ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით [illegible] მ/წლის 22 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსთან, ნინო ბახიასთან სატელეფონო კონსულტაციის დროს ცნობილი გახდა, რომ დეპარტამენტი ახორციელებს ნუმერაციის მოწესრიგების პროცესს ვაკის რაიონში, დიდებას ტერიტორიაზე არსებულ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე. როგორც დგინდება, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხი განვითარებულია და მის მიმდებარედ წარმოქმნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტი. ვინაიდან I ჩიხი მდებარეობს უშუალოდ სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის გაგრძელებაზე და მის მიმდებარედაა

წარმოქმნილი უსახელო ობიექტი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის სახელი (გაგრძელდეს ქუჩა) ხოლო უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს ეწოდოს სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელი.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, სოფელ დიდებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სულხან-საბა ორბელიანის სახელი.

19. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვასილ კოპცოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და ნავთლუღის VI შესახვევის მონაკვეთისთვის ვასილ კოპცოვის I და II ჩიხების სახელების მონიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ისნის რაიონში, ვასილ კოპცოვის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან ქუჩათა ქსელის მოწესრიგების საკითხს. ვასილ კოპცოვის ქუჩასთან ფაქტობრივად არსებულ ჩიხს, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი ქუჩის გეგმარებით გაგრძელებას მინიჭებული აქვს ვასილ კოპცოვის ქუჩის სახელი და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია მისი ჩიხად ჩამოყალიბება. ქუჩის მიმდებარედ ასევე არსებობს ფაქტობრივი ჩიხი, რომელსაც

მინიჭებული აქვს ნავთლუღის VI შესახვევის სახელი, აღნიშნული შესახვევიც უნდა იყოს ვასილ კოპცოვის ჩიხი.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვასილ კოპცოვის ქუჩის მონაკვეთს და ნავთლუღის VI შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს ვასილ კოპცოვის I და II ჩიხების სახელი.

20. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ტბელ აბუსერიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ტბელ აბუსერიძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქ. კაკო მაისურაძეს, სადაც ითხოვს ტბელ აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც მდებარეობს ტბელ აბუსერიძის ქუჩასთან ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის უსახელო შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე -სამი.

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს ისნის რაიონში, ტბელ აბუსერიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ტბელ აბუსერიძის I შესახვევის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე